LEPL State Military Scientific Technical Centre Delta
Digitally signed by LEPL State Military Scientific Technical Centre Delta
Date: 2021.02.17 12:16:02 +04'00'

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № სკ-21- 22

Telco Systems LLC
Digitally signed by Telco Systems LLC
Date: 2021.02.17 01:35:37 -08'00'

ქ. თბილისი

2021 წ.

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა" (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მნათობის ქ. N73, ტელ./ფაქსი: 2710002; ს/ნ 202297335; მიმღები დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი - TRESGE22, ანგარიშსწორების ანგარიში N 707297065) (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი ადმინისტრაციის უფროსის მაია უსანეთაშვილის სახით და მეორე მხრივ შპს „ტელკო სისტემს", (შემდგომში - მომწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი გულიაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები, ვთანხმდებით რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" პუნქტის, 2021 წლის 26 იანვრის MOD 7 20 01118514 და 2021 წლის 11 თებერვლის MOD 5 21 00095833 მოხსენებითი ბარათების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება" (შემდგომ – ხელშეკრულება) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, ყველა თანდართული დოკუმენტით.

1.2. "ხელშეკრულების ჯამური ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ზედმიწევნით შესრულებისთვის;

1.3. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელზედაც გაფორმებულია ხელშეკრულება.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას/მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „დღე, კვირა, თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.7. „შესყიდვის ობიექტი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების ობიექტი და საგანი

2.1. ხელშეკრულების ობიექტი და საგანია დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონლის (შემდგომში – საქონელი) შესყიდვა.

2.2. ხელშეკრულების დანართი №1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს **461.40 (ოთხას სამოცდაერთი ლარი და ორმოცი თეთრი)** ლარს, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

3.2 დაფინანსების წყარო: **საკუთარი სახსრები.**

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. მიმწოდებელი შემსყიდველს აწვდის საქონლის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 26 თებერვლის ჩათვლით;

4.2. საქონლის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ადგილსამყოფელი.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდებისას თან დაურთოს საქონლის თანმხლები დოკუმენტაცია.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწიდებული საქონლის შესაბამისად.

5.3. საქონლის გადაცემა დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

5.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიეცეს სსიპ სსსტც „დელტა"-ს მიერ გამოყოფილ პირ(ებ)ს.

5.5. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, ხოლო ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლება გადადის შემსყიდველზე. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე ყველა რისკი საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან სხვა ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული რისკები გადადის შემსყიდველზე.

5.6. საქონლის გადაცემის დღედ მიიჩნევა მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერის დღე.

მუხლი 6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

6.1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6.2. ანგარიშსწორება ხორციელდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6.3. შემსყიდველი ვალდებულია საქონლის გადაცემის დღიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

7.1.1. შემსყიდველს დათქმულ დროსა და ადგილზე მიაწოდოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი, რომელიც აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებს.

7.1.2. ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონლის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, მისი აღმოჩენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში შეცვალოს საქონელი მსგავსი დასახელების ტექნიკური პარამეტრების ძირითადი მახასიათებლებისა და საიდენტიფიკაციო მონაცემების შესაბამისი ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონლით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხორციელდება

საქონლის შეცვლა, მიმწოდებელი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსყიდველს ფაქტობრივად მიყენებული ზიანი.

7.1.3. გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.1.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.1.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების დათქმულ ვადაში ანაზღაურება.

7.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

7.2.1. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

7.2.2. მიმწოდებლისგან მიიღოს საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.3. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

7.3.1. მიმწოდებლისგან მოითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ადგილზე მიწოდება.

7.3.2. მოითხოვოს ხელშეკრულების 7.1.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

7.4 თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.5. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.6. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

7.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.8 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირებს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 8. სუბკონტრაქტორები

8.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

8.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

8.4. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა - პირგასამტეხლოს ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები

9.1. ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება პირგასამტეხლოს ფორმა - საჯარიმო სანქციები.

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის, მათ შორის ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.4. მიმწოდებლის მიერ ნაკისრ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რამაც გამოიწვია ხელშეკრულების შეწყვეტა, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.5. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

9.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მორიგებით.

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ფორს-მაჟორული სიტუაციები

11.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

11.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელსაც აქვს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და არ არის დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური უბედურებებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

11.3. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა აცნობოს

მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან და იგი ვერ შეძლებს გამოიყენოს ასეთი გარემოებები, როგორც პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლები.

11.4 შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

11.5. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

12.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

12.3. ხელშეკრულების ობიექტის მიწოდებისა და ანგარიშსწორების ვადების დაცვის კონტროლს განახორციელებს სსიპ სსსტც „დელტას" სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ნათელა სესიკაშვილი.

მუხლი 13. ხარისხი და გარანტია

13.1 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს, ხოლო მიწოდებული საქონელი უნდა იყოს იდენტური ხელშეკრულების დანართ №1 აღნიშნული მაჩვენებლების.

მუხლი 14. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისთვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%-ის ფარგლებში.

14.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.5. ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს.

14.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14.7. მიწოდების ვადის 10 (ათი) დღეზე მეტი დროით დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოისლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 15. სხვა პირობები

15.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15.2. შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი და ასევე კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი ადასტურებენ, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს და მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"
მისამართი: ქ. თბილისი, მნათობის ქ. N73
საიდენტიფიკაციო ნომერი: 202297335
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი- TRESGE22,
ანგარიშსწორების ანგარიში N 707297065

ადმინისტრაციის უფროსი

მაია უსანეთაშვილი

მიმწოდებელი:

შპს ,,ტელკო სისტემს”
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ნუცუბიძის ქ., №221, კორპ. 1ა, ბ. 3
საიდენტიფიკაციო კოდი: 205203279
საბანკო რეკვიზიტები:
სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:
GE75TB4021536020100006

დირექტორი

ირაკლი გულიაშვილი

2021 წლის № სკ-21-22 ხელშეკრულების დანართი №1

ხელშეკრულების ობიექტი

№	დასახელება	რაოდენობა	ზ/ე	CPV – კოდი	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება
1	8 way optic splitter UPC	2	ცალი	32420000	25.40	50.80
2	JHM-202A JHM-202B (Media converter 10M/100/1000M single mode, Single Fiber, SC)	2	წყვილი (2 ცალი)	32420000	205.30	410.60
საერთო ღირებულებაა 461.40 (ოთხას სამოცდაერთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი ყველა გადასახადის გათვალისწინებით.						

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"
მისამართი: ქ. თბილისი, მნათობის ქ. N73
საიდენტიფიკაციო ნომერი: 202297335
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი - TRESGE22,
ანგარიშსწორების ანგარიში N 707297065

ადმინისტრაციის უფროსი

_____

მაია ულანეთაშვილი

მიმწოდებელი:

შპს ,,ტელკო სისტემს"
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ნუცუბიძის ქ., №221, კორპ. 1ა, ბ. 3
საიდენტიფიკაციო კოდი: 205203279
საბანკო რეკვიზიტები:
სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:
GE75TB4021536020100006

დირექტორი

_____

ირაკლი გულიაშვილი